

ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N88 საცხოვრებელი სახლის
N14 ბინაზე, მოქალაქე ციციწო კუბლაშვილისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა თაბუკაშვილის ქუჩა N88 საცხოვრებელი სახლის N14 ბინაში მცხოვრები მოქალაქე ციციწო კუბლაშვილის განცხადება /2012 წლის 06.12 Nკ-10096/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N88 საცხოვრებელი სახლი N14 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N88 საცხოვრებელი სახლის N14 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ციციწო კუბლაშვილს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /ვ.აბულაძე/, ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N88 საცხოვრებელი სახლის N14 ბინაზე /საერთო ფართობი 42,30 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 42,30 კვ.მ./ მოქალაქე ციციწო კუბლაშვილის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.რატიაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

ბ.ბრეგაძე